საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 06

თბილისი „08" 01 2019 წ.

„ქ. ბათუმში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2008 წლის 16 ივლისის N3/165 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ლ" ქვეპუნქტების და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 03 დეკემბრის N1540608 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1 „ქ. ბათუმში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2008 წლის 16 ივლისის N3/165 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული:

ა) დანართი N1-დან ამოღებულ იქნეს N75 გრაფა „ნინოშვილის ქ.";

ბ) დანართი N2-დან ამოღებულ იქნეს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი N020101001.

2. დაევალოს კულტურის დეპარტამენტს ამ ბრძანების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში, აღნიშნული ბრძანების საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე ასახვა, ხოლო სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრში ცვლილებების შეტანა.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

ირინე აბულაძე

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი